



არადის წსენება იმრთისად კეთილ არს და განუძღომელ სულისა მის იმრთისმოყუარისა, ხოლო სიტყვთ გამოცხადებად საქმეთა იმრთისათა კადნიერება არს. ჯამეთუ გონებად უზომოდა ნაკლულეგანებითა გამოეწუების გულისწმისყოფისაგან ჭეშმარიტებისა საქმეთა შისთაფსა და კუალად სიტყუად ვერ შემძლებელ არს გამოცხადებად, რაჲ-იგი გონებასა მოსრულ იყოს, ყოველივე.

წნ უკუეთუ გონებად ჩუენი ესრეთ უზომოდ მიუწთომელ არს სიმაღლესა მას საქმეთასა, ხოლო სიტყუად უდარეს არს თვთ ჩუენისავე გონებისაცა, ვითარ არა ჯერ-არს დუმილი? ნუუკუე უნდოებისა მისგან სიტყუათაფსა დამდაბლდეს საკრველებად იგი იმრთისმეტყუელებისად?

ჯამეთუ სურვილი დიდებისა იმრთისად ყოველთა სიტყვერთა თანა ბუნებით დათესულ არს, ხოლო ღირსად მისთვის თქუმისაგან ყოველნივე სწორებით ნაკლულეგან არიან. წრამედ სურვილითა მით იმრთისმსახურებისადთა ერთი-ერთსა უმეტეს არს, გინა უდარეს. ჰოლო არავინ არს ესრეთ აღზუავებულ და შეცთომილ გონებითა, რაჲთამცა ჰგონებდა, თუ მიწვეწულ არს თავსა მას ძიებისასა, არამედ რაჲზომცა წარემართებოდის გულისწმისყოფისა მიმართ, ესეზომად სცნობს უძღურებასა თვსსა.

უსრეთ იყო **წბრაჰამ**, ესრეთ იყო **შოსე**, რაჲამს-იგი შეუძლეს ხილვად იმრთისა(ვითარი-იგი შესაძლებელ არს კაცისა მიერ ხილვად მისი), მაშინ უმეტესად შეურაცხ-ყვნეს ორთავე თავნი მათნი, რამეთუ **წბრაჰამ** მინად და ნაცრად უწოდა თავსა თვსსა(დაბ.18,27), ხოლო **შოსე** – წმანწულილად და ენაბრკუედ(გამს.4,10), რამეთუ ხედვიდა უძღურებასა მას ენისა თვსისასა, რომელ ვერ შემძლებელ იყო სიმაღლესა მას ხილულთასა თქუმად. წარნა ვინაჲთგან ყოველივე სასმენელი განღებულ არს იმრთისმეტყუელებ-

ისა სმენად და განძღომად არა არს ეკლესიისად ამათ სიტყუათაგან და დაამტკიცებს სიტყუასა მას **სოლომონისსა**, ვითარმედ: «არა აღივსოს სასმენელი სმენითა»(ეკლ.1,8), ამისთვის კეთილ არს თქუმად ძალისაებრ ჩუენისა.

ჰოლო ვთქუათ არა თუ ესეზომი, რაჲ-ზომ არს იმერთი, არამედ რაჲზომ-იგი ჩუენ მივსწუთებით. ჯამეთუ არცა თუ ვინაჲთგან ადგილისა მის, რომელ არს შორის ცისა და ქუეყანისა, თუალითა ჩუენითა ყოველსავე ვერ შემძლებელ ვართ ხილვად, ამისთვისცა, რომელი ძალ-გვც ხილვად, იგიცამცა უდებ ვყავთ-ა?

წგრეთვე აწ მცირეთა ამათ სიტყუათა მიერ კეთილადმორწმუნეობად ჩუენი გამოვაჩინოთ, ხოლო დიდებულებასა მას ბუნებისასა მივსცეთ ძღევად ყოვლისა სიტყვსა, რამეთუ არცა თუ ანგელოზთა ენანი, რანიცა-იგი სადმე არიან, არცა მთავარანგელოზთანი, თუმცა შემოკრბეს ყოვლისავე სიტყვერისა ბუნებისა თანა ერთად და იტყოდეს, შე-მცა-უძლეს მცირესაცა რაჲმე ნაწილსა მისისა ბუნებისასა მინთომად, არა თუმცა ცნეს იგი სრულიად.

ჰოლო შენ, უკუეთუ გნებავს იმრთისათვს თქუმად აწუ სმენად, დაუტევენ წორცნი შენნი, დაუტევენ წორციელნი იგი საცნობელნი, დაუტევე ქუეყანა, დაუტევე ზღუად, ქუეშე შენსა მოაქციენ ჰაერნი, თანა-წარჰწვედ ჟამთა, წელიწადთა წესიერებასა, ქუეყანისა ამის სამკაულთა, უზეშთავს ათერისა იქმენ; თანა-წარჰწვედ ვარსკულავთა და საკრველებათა მათთა, შუენიერებასა მათსა და სიდიდესა და საქმეთა მათთა და საწმართა, რომელნი მოანიჭებენ სოფელსა ბრწყინვალებასა მათსა, განწესებულებასა, სლვასა – თუ ვითარ შეერთებულ და განყოფილ არიან ურთიერთას. ყოველსავე წარჰწვედ, უზეშთავს ცისა ამაღლდი და უმაღლეს მისა იქმენ. წონებითა ოდენ მიმოიხილე მუნ მყოფთა მათ შუენიერებათა ზედა: მწედრობათა ცისათა, დასებასა

* ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა ც. ქურციკიძემ, თბ., 1983. გვ. 151-157.

ანგელოზთასა, ერისთავობასა მას მთავარან-
 გელოზთასა, დიდებულებასა უფლებათასა,
 პატიოსნებასა მას საყდართასა, ძალთა მათ
 და მთავრობათა და ჴელმწიფებათა. **ნა** ამათ
 ყოველთა თანა-ნარჴვედ და უმაღლეს ყო-
 ვლისა დაბადებულისა ყავ გონებად შენი და
 გულისჴმა-ყავ **ჴ**უნებად იგი **ჴ**ოვლად **ჩ**მიდა:
 მდგომარე, მიუდრეკელი, უცვალებელი, უფ-
 ნებელი, მარტივი, შეურევენელი, განუყოფელი;
 ნათელი თუალთშეუდგამი(ი ტიმ.6,16), ძლ-
 იერებად გამოუთქუმელი, სიდიდე გარეშე-
 მოუწერელი, დიდებად ბრწყინვალე, სახ-
 იერებად და სიკეთე სანადელი, შუენიერებად
 მოუგონებელი, რომელი-იგი ძლიერად შეეხ-
 ების სიყუარულითა მისითა განგურემულსა
 მას სულსა, ხოლო სიტყვთა გამოცხადებად
 შეუძლებელი.

2. **შ**უნ **შ**ამად და **ძ**ე და **ს**ული **ჩ**მიდა,
 დაუბადებელი იგი ბუნებად, სამეუფოდ პატი-
 ვი, ბუნებითი სახიერებად. **შ**ამად – დასაბამი
 ყოველთა, მიზეზი იგი არსებისა არსთა,
 ძირი იგი ცხოელთა, რომლისაგან გამოვიდა
 წყაროდ იგი ცხორებისა, სიბრძნე და ძალი,
 ხატი იგი შეუცვალებელი უხილავისა იმ-
 რთისა(კოლ.1,15), **შ**ამისაგან შობილი **ძ**ე,
 ცხოელი იგი სიტყუად, რომელი-იგი იმერთი
 არს და იმრთისა თანა არს(ინ.1,2), არს და იყო.
წრა თუ უკუანაღს შემოვიდა, რომელი იყო წინა
 საუკუნეთა, არა თუ უკუანაღს იქმნა, **ძ**ე არა
 დაბადებული, შემოქმედი, არა შექმნილი, აღ-
 მაშენებელი, არა აღშენებული. **ჴ**ოველივე არს,
 რა-იგი არს მამად. **ძ**ე ვთქუ და **შ**ამად. **ნ**ამი-
 მარხენ მე: ესე თვთებანი ჴგიეს უკუე ძეობასა
 შინა და ყოველივე არს, რა-იგი არს **შ**ამად, ვი-
 თარცა თქუა თავადმან **ღ**ვალმან: «ყოველივე,
 რომელი აქუს **შ**ამასა, **ი**ემი არს»(ინ.16,15).
ჴამეთუ ჳეშმარიტად ხატისა არს ყოველი,
 რომელიცა-იგი არს პირშოხსა მისვე **ძ**ისა,
 ვითარცა იტყვს მახარებელი, ვითარმედ:
 «ვიხილეთ დიდებად **შ**ისი, დიდებად, ვითარცა
შხოლოდშობილისა მამისა მიერ»(ინ.1,14), ესე
 იგი არს, ვითარმედ არა ნიჭითა და მაღლითა
 მიეცნეს მას სასწაულნი, არამედ ზიარებითა
 მით ბუნებითთა აქუს **ძ**ესა **შ**ამულისა მის იმ-
 რთეებისა პატივი. **ჴ**ამეთუ მოღებად ზიარი არს
 დაბადებულთა თანა, ხოლო ბუნებით ქონებად
 თვისი არს შობილისა მის. **ჴ**ამეთუ ვითარცა
ძესა ბუნებით აქუს **შ**ამისა იგი, ხოლო ვი-
 თარცა **შ**ხოლოდშობილსა ყოველივე აქუს

შემოკრებულად თავსა შორის **ძ**ესსა და არცა
 ერთი რად განიყოფვის სხვსა ვისმე მიმართ.
ძეთ სახელისა მისგან **ძ**ეობისა ვისწავლით,
 ვითარმედ ზიარი არს ბუნებისა არა ბრძანე-
 ბით დაბადებული, არამედ არსებისაგან **შ**ისისა
 გამოსრული.

წანუშორებელად უჴამოდ **შ**ამისა თანა მყ-
 ოფ არს, სწორი სახიერებითა, სწორი ძალითა,
 ზიარი დიდებისა. **ნა** რადმცა იყო სხუად, გარნა
 ბეჭედი და ხატი, რომელი ყოვლითურთ **შ**ა-
 მასა თავსა შორის **ძ**ესსა გამოაჩინებს? ხოლო
 რავდენნიცა სიტყუანი გესმენ ბუნებისა მის-
 გან კაცობრივისა მისისა თქუმული, გულისჴმა-
 ყავ, ვითარმედ ცხორებასა კაცთასა განაგებს,
ჴომელი გამოგჴრნდა ჩუენ ჴორცითა, რაჴამს-
 იგი იტყოდის თავსა თჳსსა მოვლინებულად და
 ვერარაღსა შემძლებელად თავით **ძ**ესით ყო-
 ფად და მომლებელად მცნებისა და ვითარმედ:
 იმერთი ჩემი და იმერთი თქუენი და **შ**ამად
 უბეშთაეს არს **ი**ემსა. **ნა** დაბადებად და ქმნად
 და წმიდაყოფად და მონებად და მორჩილებად და
 მიცემად და სწავლად და მცნებისა მოღებად და
 უმეცრებად და ლოცვად და კითხვად და სრულყ-
 ოფად და ამათსა უმდაბლესნიცა იგი საქმენი:
 დაძინებად, შიმშილი, დაშრომად, ცრემლოობად,
 შეურვებად, დამალვად, გინა თუ ჳუარცუმად და
 სიკუდილი – რამეთუ ამის ყოვლისა უკუეთუ
 გენებოს, არა ძნელ არს თითოეულისა კეთი-
 ლად თარგმანებად.

ჴათა არა სცთებოდი, არამედ გეტყვ მოკ-
 ლედ, რათა მაღალთა მათ საქმეთა გულის-
 ჴმა-ჴყოფდე იმრთეებისათჳს და უვნებელისა
 მის და უჴორცოღსა ბუნებისა, ხოლო მდაბალ-
 თა მათ – კაცებისათჳს, **ჴ**ომელი-იგი ჩუენთჳს
 განკაცნა და ჴორციელ იქმნა, და ამალდა,
 რათა ჩუენცა აღგუამაღლნეს და გუასწაოს
 გულისჴმისყოფად, რათა უწყოდით, თუ რანი
 არიან სიტყუანი იგი, ბუნებისათჳს მისისა თქუ-
 მულნი, და რანი არიან განგებულებისათჳს.
ჴამეთუ **ჴ**ომელი-იგი კაც იქმნა, უნივთო იყო
 და უჴორცო, და **ჴ**ა-იგი იყო, ეგრეთვე ეგო და
ჴომელი-იგი არა იყო, მიიღო. **ს**ირველითგან
 იყო უმიზეზოდ, რამეთუ რადმცა იყო მიზეზი
 იმრთეებისა? არამედ უკუანაღსკნელ იქმნა
 მიზეზისათჳს, ხოლო მიზეზი იგი იყო ცხორებად
 ჩუენი. **ჴ**ომელმან მიიღო სიზრჴე ესე ჴორცთად
 ამათ, შუამდგომელობითა გონებისაათა შეერ-
 თო ჴორცთა და იქმნა კაც და მდაბალი იგი
 აღამაღლა და იქმნა ორივე **წ**რთ, რამეთუ უად-

რესმან მან სძლია, რადთა მე ესეზომ იმერთ ვიქმნა, რაზომ იგი კაც იქმნა. **ნა** იშვა, არამედ შობილცა იყო, დედაკაცისაგან გამოჩნდა, არამედ ქალწულისა. **უსე** კაცობრივ არს და იგი იმრთებრ. **ნქა** უმამო იქმნა და მუნ უდედო იყო. **უსე** ყოველი იმრთებრი არს.

შუცლადღებულ იქმნა, არამედ იცნა **იგი** წინააღმართმეტყუელმან მუცლადღებულმან, რომელი ჰკრთებოდა წინაშე სიტყვსა მის, რომლისათვს იქმნა; შეიხვა, არამედ სახუეველნი იგი საფლავისანი დაუტევნა და აღდგა; ბაგასა მიიწვინა, არამედ ანგელოზთა მიერ იდიდა; და ვარსკულავისა მიერ ეუსყა და მოგუთა მიერ თაყუანის-იცა; ივლტოდა **იგვბტედ**, არამედ შემეუსრნა **იგვბტისა** იგი კერპნი; არა აქუნდა სახზ, არცა ფერი **ჰურიათა** მიერ, არამედ **ნავით** იტყვს შუენიერად: სიკეთითა უფროვს ძეთა კაცთასა(ფს. 44,2); და მთასა ზედა გამოზრწყინდა უბრწყინვალეს მზისა მოსწავებად მერმისა მის; ნათელ-ილო ვითარცა კაცმან, არამედ ცოდვანი დაჰწსნა ვითარცა იმერთმან და განწმინდა წყალნი; გამოიცადა ვითარცა კაცი, არამედ სძლო ვითარცა იმერთმან და ბრძანებს არა შიშსა, რამეთუ უძლევიეს სოფლისადა; მოემშია, არამედ გამოზარდნა ათასეულნი. **ნა** პური არს ცხორებისა და ზეცისა; მოენყურა, არამედ ღაღატ-ყო: რომელსა სწყურის, მოვედინ ჩემდა, და აღუთქუა მორწმუნეთა მიცემად წყაროვსა; დაშურა, არამედ მაშურალთა და ტვრთმძიმეთა განმსუენებელი არს; დამძიმდა ძილითა, არამედ ზღუასა ზედა სუბუქად ვიდოდა და შეჰრისხნა ქართა და **სეტრე** დანთქმადი აღასუბუქა; მისცა ხარკი, არამედ თევზისაგან; და **შეუფც** არს მეუფეთა, **სამარიტელად** და ეშმაკეულად ეტყოდეს, არამედ იწსნა **იერუსალემით** გარდამომავალი იგი და ავაზაკთა-და მიცემული; და ეშმაკთა იცნეს იგი და ლეგეონი სულთა ბოროტთა დაანთქა და ეშმაკთმთავარი იხილა, ვითარცა ელვად გარდამოვრდომილი; იქოლვებოდა, არამედ არა შეინებოდა; ილოცვიდა, არამედ ისმენს ლოცვათა; ცრემლოოდა, არამედ დააცხრვნა ცრემლნი ყოველთაგან; ჰკითხა, ვითარმედ: «სადა არს **ხაზარე?**» რამეთუ კაცი იყო, არამედ აღადგინა **ხაზარე**, რამეთუ იმერთი იყო; განიყიდა სუბუქისა ფასისა, რამეთუ ოცდაათ ვეცხლად, არამედ მოიყიდა სოფელი დიდითა მით სასყიდლითა თვისისა სისხლისადათა; ვითარცა ცხოვარი კლვად მიიგუარა, არამედ

ჰმწყსიდა **უსრაელსა** და ან ყოველსა სოფელსა; ვითარცა ტარიგი უწმობელ იყო, არამედ სიტყუად არს ჳმისა მის მიერ ღაღადებისა უდაბნოს ქადაგებული; იგუემა და ინყლა, არამედ ჰკურნებს ყოველსა სენსა და ყოველსა ცისად-ცისად გუემულებასა; ძელსა შეემშეულა, არამედ ძელად ცხორებისად მიგუაქცინა, არამედ აცხოვნა ავაზაკი, მის თანა ჯუარცუმული და დააბნელა ყოველი სოფელი; ძმარი სუა, ნავლლისა გემოდ იხილა, ვინ? **იომელმან-იგი** წყალი ღვინოდ გარდააქცია, **იომელი** ბოროტისა მის გემოხსილვისა დამწსნელი არს, **იომელი-იგი** სიტკობება არს და ყოველითურთ საწადელი; მისცემს სულსა თვისსა, არამედ ჳელმწიფება აქუს კუალად მოღებად მისა; და კრეტსაბმელი განიპო და კლდენი განსთქდეს და მკუდარნი აღდგეს. **შოკუდა**, არამედ ცხოველსმყოფელ არს და დაჰწსნა სიკუდილი სიკუდილითა; დაეფლა, არამედ აღდგა; ჯოჯოხეთად შთავიდა, არამედ აღმოიყვანნა მუნ მყოფნი სულნი და ზეცად ამაღლდა, და მოვიდეს შჯად ცხოველთა და მკუდართა.

ნა ესრეთ, ესევითარნი ესე სიმდაბლისა სახენი სიტყუანი ნუმცა მოგცემენ მიზეზსა დამდაბლებად იმრთებასა მას **შხოლოდშობილისასა**. **იამეთუ** არა თუ დამდაბლებად იგი შისი შენისა უძლურებისა მომართ დაკლება არს პატივისა მის ძლიერისა შის, არამედ ბუნებასა მისსა გულისწმა-ჰყოფდი საღმრთოდ, ხოლო მდაბალთა მათ სიტყუათა შეინწყნარებდი კაცებისა მის შისისათვს, რომელთათვს, უკუეთუმცა ვინებეთ თვთოეულისა თარგმანებად ნურილ-ნურილად, ფრიადი და უზომოდ სიმრავლც სიტყუათად შემოვილოთ თქუმულსა ამას ჩუენსა.

3. წრამედ წინამდებარისა ამის მიმართ მოვიდეთ, ვითარმედ გონებამან უკუეთუ შეუძლოს ნივთიერთა მათ ვნებათაგან განწმედად თავისა თვისისა და უხილავნიცა იგი დაბადებულნი ყოველნი დაუტევნეს და, ვითარცა თევზი უფსკრულით, ზე აღვიდეს სინმიდესა შინა, მუნ იხილოს სული **წმიდაცა**, სადა-იგი არს **ძც** და სადა-იგი არს **შამა**, რომელსა-იგი აქუს მასცა ყოველივე შეერთებულად ბუნებით: სახიერებად, სინრფელც, სინმიდც, ცხორებად, რამეთუ თქუმულ არს, ვითარმედ: «სული ჰენი სახიერი»(ფს.142,10) და კუალად: «სული წრფელი»(ფს.50,12) და კუალად: «სული **წმიდა**»(ფს.50,13). **ნა** დიდი

სავლე იტყვს, ვითარმედ: «რჩულმან სულისა მის ცხორებისამან»(რომ.8,2).

წმათგანი არარაჲ არს მოგებული შის მიერ, არცა უკუანაჲსკნელ შემოსრული, არამედ ვითარცა განუმორებელ არს ცეცხლისაგან სიტყვოდ და ნათლისაგან ნათობაჲ, ეგრეთვე სულისა მისგან დიდებულისა – სინმიდე და ცხოველსმყოფელობაჲ, სახიერებაჲ და სინრფელჲ.

წრს უკუე სულიცა ჩმიდაჲ, მდგომარე ნეტარსა შას ბუნებასა თანა. წრა სიმრავლეთა თანა შეირაცხვის, არამედ სამებასა თანა იხილვების, თვთებით მხოლოდ აღიარების, არა ბანაკთა თანა შეერთებულ არს, არამედ ორთა მათ თანა სამებასა აღასრულებს. ჯამეთუ ვითარცა შამაჲ ერთი არს და ძჲ ერთი, ეგრეთვე სული ჩმიდაჲ ერთ არს. ღოლო სხუანი იგი სულნი, მსახურნი იმრთისანი, თვთოეულსა დასსა შინა სიმრავლჲ არს აღურაცხელი. ჩუ ეძიებ უკუე დაბადებულთა თანა უზეშთაესსა შას დაბადებულთასა, ნუ შთამოიყვანებ განმწმედელსა შას განწმედადთა თანა. ოსე აღავსებს ანგელოზთა, აღავსებს მთავარანგელოზთა, წმიდა-ჰყოფს ძალთა, ცხოელს ჰყოფს ყოველთავე ცხოელთა. ოსე ყოველთა ზედა დაბადებულთა განფენილ არს და სხუად და სხუად სახედ არს თვთოეულისა თანა და არარაჲ მოაკლდების შას მიმღებელთა მათგან. ყოველთა თვსსა მას მადლსა მისცემს და არა განილევის მათ ზედა, არამედ მიმღებელნიცა იგი სავსე არიან მისგან და იგი არს მოუკლებელ. ჯამეთუ მზჲ ბრწყინავს გუამთა ზედა და თითოსახედ მიიწევის თვთოეულსა ზედა და არარაჲ მოაკლდების მას მიმღებელთა მათგან; ეგრეთვე სული ჩმიდაჲ ყოველთა თვსსა მადლსა მისცემს და ოგი მოუკლებელ არს და განუყოფელ, ყოველთა განანათლებს გულისწმისყოფად იმრთისა, დაიმკვდრებს წინაჲსწარმეტყუელთა თანა, განაბრძნობს რჩულისმდებელთა, მდღელთა სრულ-ჰყოფს, განაძლიერებს მეფეთა, დაამტკიცებს მართალთა, პატივ-სცემს ქალწულთა, აღასრულებს მადლსა კურნებათასა, ცხოელს ჰყოფს მკუდართა, განჰწსნის კრულთა, შვილ იმრთის ჰყოფს უცხოქმნულთა მათ. წმას

ყოველსა შობითა მით ზეცისაჲთა იქმს. ოკუეთუ მიიღოს მეზუერე მორწმუნჲ, მახარებელად გამოაჩინებს(მთ.9,9); უკუეთუ მეთევზესა თანა დაიმკვდროს, იმრთისმეტყუელ ჰყოფს(მთ.4,19); უკუეთუ მდევარი პოოს მონანული, მოციქულად წარმართთა ჰყოფს მას, ქადაგად სარწმუნოებისა, ჭურად რჩეულად(საქმ.9,15). წმის სულისა მიერ უძღურნი ძლიერ არიან; გლახაკნი განმდიდრდებიან და უმეცარნი სიტყვთა ბრძენთა უბრძნეს არიან.

სავლე უძღური იყო, არამედ ძალითა ამის სულისაჲთა ოფლი მისი კურნებასა მიანიჭებდა უძღურთა(საქმ.19,12). სეტრესცა აქუნდა გუამი უძღურებისაჲ, არამედ მადლითა მით სულისაჲთა, რომელი მკვდრ იყო მის შორის, აჩრდილი გუამისა მისისაჲ კურნებასა მიანიჭებდა უძღურთა(საქმ.5,15). ოლახაკ იყვნეს სეტრე და ოვანე(რამეთუ არა აქუნდა ოქრო, გინა ვეცხლი)(საქმ.3,6), არამედ მოჰმადლებდეს კურნებასა და სიმრთელესა, მრავალთა ოქროთა უპატიოსნესსა. ჯამეთუ მრავალთაგან მიელო მკელობელსა მას ოქროჲ და ჯერეთ მთხოელ იყო, ხოლო სეტრესგან რაჲ მიიღო მადლი, დასცხრა თხოისაგან და ხლდებოდა, ვითარცა ირემი, და აღიდებდა იმერთსა. წრა იცოდა ოვანე სიბრძნჲ იგი სოფლისაჲ, არამედ ძალითა მით სულისა ჩმიდისაჲთა თქუნა სიტყუანი ესევეთარნი, რომელთა ვერცა ერთი სიბრძნე ჯორციელი შემძლებელ არს მიხედვად.

ოსე სული ცათა შინაცა არს და ქუეყანაჲ აღუვსიეს და ყოველთაგან იპოების და არასადა შემონერვილ არს. ყოველივე არს თვთოეულსა თანა და ყოველივე არს იმრთისა თანა. წრა მსახურებით აღასრულებს ნიჭთა, არამედ უფლებით განუყოფს მადლთა, რამეთუ «განუყოფს თვთოეულსა ზედა, ვითარცა ჰნებავს»(ოკორ.12,11). შოველინების განგებულებით და იქმს თვთუფლებით. წმისი დამკვდრებაჲ სულთა შინა ჩუენთა ვილოცოთ და რაჲთა არცა ერთსა ჟამსა მოგუაკლდეს მადლითა ოფლისა ჩუენისა ოესუ ჭრისტესითა, ჯომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცჲ, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.